სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

14 მარტი 2025

MRDI-RD N 2-03/3155

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ **ირაკლი ჩიდრაშვილს**

ბატონო **ირაკლი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2025 წლის 25 თებერვლის №6/10100 წერილი, რომელიც შეეხება ქალაქ სამტრედიაში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **ნახშირღელე - ქუთაისი - სამტრედიას** საავტომობილო გზის კმ43-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს **48** მეტრის დაშორებით მდებარე 158კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N34.08.68.461) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მოცემული 158კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N34.08.68.461) მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის **თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის შემადგენელი სატრანსპორტო კვანძისა და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **ნახშირღელე - ქუთაისი - სამტრედიას** საავტომობილო გზებზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადის შერწყმისა და განშტოების ადგილას, სადაც საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა არის ინტენსიური და არის მომეტებული საფრთხის შემცველი მონაკვეთი. ობიექტ(ებ)ის განთავსების შემთხვევაში უნდა მოეწყოს ავტომობილების შესასვლელი და გამოსასვლელი, რაც დამატებით წარმოშობს ახალ საკონფლიქტო წერტილებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **მოკლებულია შესაძლებლობას,** შეითანხმოს წერილით წარმოდგენილი 158კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N34.08.68.461) განკარგვის საკითხი.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

34.00.418
34.00.292
34.00.112
34.08.67.464
34.00.720
27.00.073
34.00.041
34.08.68.078
34.08.68.233
01 (1)
01 (2)
02 (1)
34.08.68.212
34.08.68.464
NAPR